



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
სულიკო თებიძის
ერთწლიანი საქმიანობის ანგარიში

2019 წელი, ნოემბერი

www.batumicc.ge

შესავალი


ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს წარმომადგენს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებზე, 4 წლის ვადით, ამომრჩევლებმა აირჩიეს ბათუმის თვითმმართველი ორგანოს - საკრებულოს 25 წევრი, აქედან 10 წევრი - ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, ხოლო 15 წევრი - პროპორციული წესით ბათუმის მთელ ტერიტორიაზე.

2017 წლის 20 ნოემბერს გაიმართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა. სხდომაზე ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით აირჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს საქმიანობა და უფლებამოსილება განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.



მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა

საკრებულოს თავმჯდომარე ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს:

- საკრებულოს სხდომების ორგანიზება, საკითხების განხილვა, გადაწყვეტილებების მიღება;
- საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის ხელმძღვანელობა;
- საკრებულოს წარმომადგენლობითი ფუნქციების გახორციელება.

IV მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 5 მუდმივმოქმედი კომისია და 5 ფრაქცია

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

კომისიები	ფრაქციები:
➤ საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია; ➤ ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია; ➤ ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისია; ➤ განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია. ➤ იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.	➤ „<u>ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო</u>“ ➤ „<u>ქართული ოცნება - მრეწველები</u>“ ➤ „<u>ქართული ოცნება - კონსერვატორები</u>“ ➤ „<u>ერთიანი ნაციონალური მოძრაობა</u>“ ➤ „<u>ბათუმი</u>“


IV მოწვევის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

- 13 სხდომა
- 26 ბიუროს სხდომა

საკრებულოს სხდომებზე განხილულ იქნა სულ 117 საკითხი, მიღებულ იქნა 85 განკარგულება და 32 დადგენილება.

საკრებულოს კომპეტენციების გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები ქალაქის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით.

საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტების, ასევე, ქალაქ ბათუმში არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტული მიმართულებები:



საანგარიშო წლის დასაწყისში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენდა 156,761.6 ათას ლარს. გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებლები - 73,153.6 ათას ლარს. მათ შორის: ქონების გადასახადი - 25,200.0 ათასი ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადი - 47,953.6 ათასი ლარი. ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 29,900.0 ათასი ლარით: მათ შორის:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური ტრანსფერი - 29,900.0 ათასი ლარი; 2019 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 43,008.0 ათასი ლარის ოდენობით • საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2,408.0 ათასი ლარის ოდენობით. აქედან: პროცენტების სახით დაგეგმილია 500.0 ათასი ლარის მობილიზება; დივიდენდები სახით დაგეგმილია 838.0 ათასი ლარის მობილიზება; რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1,070.0 ათასი ლარის ოდენობით. • საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 35,000.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 35,000.0 ათასი ლარის ოდენობით. • ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4,700.0 ათასი ლარის ოდენობით. • შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 900.0 ათასი ლარის ოდენობით. არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 10,700.0 ათასი ლარით.

ამ ეტაპზე არსებული მონაცემებით, ბათუმის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, საპროგნოზო მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია 10 მლნ 228 ათასი ლარით.

ბათუმის 2019 წლის ბიუჯეტის თანხები ძირითადად მოხმარდა ქალაქისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და ქალაქის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას, მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებას, ქალაქის კეთილმოწყობას, გამწვანებას, მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის და სერვისის განვითარებას, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერას, ბინათმშენებლობას და ავარული შენობების რეაბილიტაციას, ქალაქის დასუფთავებას, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობას, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის ხელშეწყობასა და სპორტს, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფას, ქალაქის ეკონომიკურ და ურბანული განვითარებას, მუნიციპალური სერვისების განვითარებას.



საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

საანგარიშო პერიოდში ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ სხდომებზე განიხილა სულ 117 საკითხი და მიიღო გადაწყვეტილებები, მათ შორის:

2019 წლის 28 თებერვალი (განკარგულება №13) - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცა, **ქობულეთის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, “ISUZU BOGDAN A092” მარკის ავტობუსი: სარეგისტრაციო ნომერი NPN094; საიდენტიფიკაციო ნომერი Y7BA092014B000364; გამოშვების წელი 2004; საბალანსო ღირებულება 700,00 (შვიდასი) ლარი;

2019 წლის 24 მაისი (განკარგულება №38) - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცა, **„განათლებისა და მეცნიერების ქალაქის“ პროექტის განსახორციელებლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადასაცემად** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის დამატებითი ქონების სახით საკუთრებაში გადმოცემული, სვიშევსკის ქ.№1-ში მდებარე 70352,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1-დან №16-ის ჩათვლით (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.30.10.293);

2019 წლის 24 მაისი (განკარგულება №39) - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცა, **ჭოროხის ქუჩის მშენებლობის განსახორციელებლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადასაცემად** ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის უსასყიდლოდ, დამატებითი ქონების სახით საკუთრებაში გადმოცემული უძრავი ქონებები:

- ა) ქ. ბათუმში, ჭოროხის ქ. №30-ში მდებარე 1228,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.35.25.008);
- ბ) ქ. ბათუმში, დაბა ხელვაჩაურში მდებარე 407,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.35.25.249);
- გ) ქ. ბათუმში, დაბა ხელვაჩაურში მდებარე 2659,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.35.25.250);
- დ) ქ. ბათუმში, დაბა ხელვაჩაურში მდებარე 356,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.35.25.251);
- ე) ქ. ბათუმში, დაბა ხელვაჩაურში მდებარე 457,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.35.26.382);
- ვ) ქ. ბათუმში, დასახლება ხელვაჩაურში მდებარე 3416,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.35.25.028);
- ზ) ქ. ბათუმში, დაბა ხელვაჩაურში მდებარე 3299,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.35.26.383).

2019 წლის 24 მაისი (განკარგულება №41 (კონსოლიდირებული - ცვლილება განხორციელდა №64 და №71 განკარგულებებით)) - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საკუთრების უფლებით გადაეცა **„შპს „ლამინი“-სათვის (ს/კ 445533469) 49 წლის ვადით მართვის უფლებით სარგებლობაში გადაცემის მიზნით**, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შპს „დინამო ბათუმი“-ს (ს/ნ 245622205) 100%-ნი წილი;

2019 წლის 19 სექტემბერი (განკარგულება №72) - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცა შპს „პიატა ჰოლდინგი“-სათვის 20000,0 (ოცი ათასი) ლარად პირდაპირი განკარგვის ფორმით საკუთრებაში გადაცემის მიზნით, ფარნავაზ მეფის ქუჩა №25ე-ში მდებარე 266,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული 11,40 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი: 05.21.28.020.01.502), 15390,0 ლარის საწყისი საპრივატიზებო ღირებულებით;

2019 წლის 28 თებერვალი (განკარგულება №15) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებიდან აღსანიშნავია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული პროგრამის „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი“ ქვეპროგრამით „საცხოვრებელი სახლების მშენებლობა“. აღნიშნულით დამტკიცდა პროგრამით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლით („ხელმისაწვდომი საცხოვრისით“) სარგებლობის კრიტერიუმები და ბენეფიციართა შერჩევის ინსტრუმენტი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მისცა თანხმობა შემდეგი იურიდიული პირების დაფუძნებაზე:

- შპს „ფუტსალისა და საპლაჟო ფეხბურთის კლუბი - ბათუმი“ (№43 განკარგულება - 2019 წ.).
- ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“ (№74 განკარგულება - 2019 წ.).

2019 წლის 22 აგვისტო (დადგენილება №20) - ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე (ქალაქ ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩასა და ზღვის სანაპიროს შორის მდებარე ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის შესახებ (რივიერა));

2019 წლის 30 ოქტომბერი (განკარგულება №76) - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის მესამე და მეოთხე ფაზის განმახორციელებელ კონსორციუმებთან (წარმოდგენილი კომპანია Egis Eau SA სახით) გასაფორმებელი მორიგების ხელშეკრულების მოწონების შესახებ.




საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა

საკრებულოს მუნიციპალიტეტის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი. საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე. აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი. აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა განისაზღვრება აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

გასულ წლის დასაწყისში საკრებულოს აპარატში გახორციელებული რეორგანიზაციისა და დებულებაში შეტანილი ცვლილების შედეგად საკრებულოს აპარატში ფუნქციონირებს სამი განყოფილება:



საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა მუნიციპალიტეტის ფრაქციაში - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“.

საკრებულოს ფრაქცია - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ შემადგენლობაში საქმიანობას ახორციელებს საკრებულოს 12 წევრი.

ფრაქციის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- ფრაქციის საქმიანობის საჯაროობა
- დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა
- ფრაქციაში გაწევრიანებისა და ფრაქციიდან გასვლის ნებაყოფლობითობა
- თანასწორობა კანონის წინაშე

ფრაქცია შექმნილია საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად გახორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

ფრაქციაზე განხილული საკითხები:

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის სხდომაზე განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები, მათ შორის:

- საკრებულოს წევრების 2019 წლის აქტივობების ძირითადი მიმართულებების შესახებ;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების 2019 წლის სამუშაო გეგმის შესახებ საკრებულოს ფრაქციასა და ბათუმის მერიას შორის კოორდინაციის გეგმის შემუშავების შესახებ;
- სამომაგლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
- საკრებულოს სხდომაზე განსახილველი სხვადასხვა მიმდინარე საკითხის განხილვის შესახებ;
- ქალაქში დაგეგმილ და მიმდინარე პროექტებზე ინფორმაციების მოსმენა.

ფრაქციის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 17 სხდომა.

ფრაქციის სხდომაზე განხილულ იქნა 49 საკითხი.

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიაში

იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

კომისიის მიზანი:

საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხების წინასწარი მომზადება, საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების სამართლებრივი კონტროლის გახორციელება.

კომისიის საქმიანობა:

- ა) შეიმუშავეს და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს;
 - ბ) განიხილავს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებს და ღებულობს დასკვნებს მათი უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის თაობაზე;
 - გ) სამოქმედო სფეროში განიხილავს თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ბიუჯეტის პროექტს, ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამების პროექტებს და ღებულობს შესაბამის დასკვნებს მათ შესახებ;
 - ვ) სამოქმედო სფეროში კონტროლს უწევს მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს;
- კომისიის შემადგენლობაშია საკრებულოს 9 წევრი.
- საანგარიშო პერიოდში საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ გამართა 14 სხდომა. კომისიამ 14 სხდომაზე განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული 123 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ დასკვნის სახით 28 რეკომენდაცია შეიმუშავა.



მოქალაქეებთან შეხვედრები

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარე სხვადასხვა საკითხზე ადგილზე შეხვდა და კონსულტაცია გაუწია 367 მოქალაქეს.

ამავე პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე საკრებულოს აპარატში რეგისტრირებულია 360 განცხადება, რომლებზეც გაცემულია პასუხი, ნაწილი კი შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილია შესაბამის სამსახურებში განსახილველად.

ამასთანავე, ბათუმის ადმინისტრაციულ ერთეულებში ბათუმის მერთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან და საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად გამართულ შეხვედრებზე შესწავლილ იქნა და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილი იქნა მოსახლეობის მიერ შეხვედრებზე დასმული საკითხების 79 პროცენტი.



ბათუმის ადმინისტრაციულ ერთეულებში ქალაქის მერის, საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის მოქალაქეებთან შეხვედრები ყოველ ორშაბათს მუნიციპალური სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად იმართება. ქალაქის ხელმძღვანელობა უშუალოდ მუნიციპალიტეტის მოსახლეობიდან იღებს ინფორმაციას იმ პრობლემების შესახებ, რომელიც არსებობს და საჭიროებს კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებას და მოგვარებას.

მოსახლეობასთან შეხვედრები იმართება 2018 წლის ივლისიდან და დღემდე გრძელდება. მუნიციპალიტეტის მხრიდან შეხვედრებს ესწრებიან: მუნიციპალიტეტის მერი, ვიცე-მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატები, სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ხელმძღვანელები და შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულების სერვის-ცენტრის მენეჯერები.

სულ 14 ადმინისტრაციულ ერთეულში 39 შეხვედრა გაიმართა

მუნიციპალიტეტის მხრიდან შეხვედრებს ესწრებოდნენ:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;
ვიცე-მერი;
საკრებულოს თავმჯდომარე;
მერიის სტრუქტურული ერთეულების
ხელმძღვანელები;
ადმინისტრაციული ერთეულის
მასშტაბური დეპუტატები;

სამეწარმეო და არასამეწარმეო
იურიდიული პირების
ხელმძღვანელები;
ადმინისტრაციული ერთეულების
სერვის-ცენტრის
მენეჯერები.

საკითხი დააფიქსირა 800-ზე მეტმა მოქალაქემ. სულ 1253 პრობლემური საკითხი დაფიქსირდა.

დღეის მდგომარეობით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა 485 საკითხი უკვე მოაგვარა, რაც დაფიქსირებული საკითხების 38%-ს შეადგენს.


მიმდინარე პროცესშია 341 საკითხი, ეს ის საკითხებია, რომელზეც დაწყებულია სამუშაოები და დროის უმოკლეს ვადაში შესრულებულ სამუშაოდ ჩაითვლება (დაფიქსირებული საკითხების 27%-ია).

დაფიქსირებული საკითხებიდან KfW პროგრამით უკვე გათვალისწინებულია 17 საკითხის მოგვარება (დაფიქსირებული საკითხების 2%-ია).

2020 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება 150 საკითხის მოგვარება, რაც დაფიქსირებული საკითხების 12%-ს შეადგენს, ხოლო დარჩენილი 259 საკითხის ბიუჯეტში გათვალისწინება მოხდება პრიორიტეტების მიხედვით, რაც პროცენტულად 21%-ს შეადგენს.

გარდა ამ საკითხებისა დაფიქსირდა ისეთი საკითხებიც, რომლის მოგვარება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს სცდებოდა, მაგალითად: საგზაო დეპარტამენტის, სოკარის, ენერგო-პროს კომპეტენციაში მოსაგვარებელი საკითხები, რომლებზეც მომზადდა შუამდგომლობის წერილები და გაიგზავნა შესაბამის ორგანოებში. ასეთ საკითხთა რაოდენობაა 212-ი.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტმა ერთი წლის მანძილზე დაფიქსირებული საკითხებიდან 79% საკითხების მოგვარება შეძლო.



საკრებულოს წარმომადგენლობითი ფუნქციების გახორციელება

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს. საანგარიშო პერიოდში ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე მონაწილეობდა სხვადასხვა ღონისძიებებში:

12-13.02.2019 წელი, თბილისი - გაიმართა წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების, როგორც ჰუმანიტარულ სფეროში მთავრობის დამხმარე ორგანიზაციის წარდგენა, ორგანიზაციის მიერ ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე განხორციელებული საქმიანობების გაცნობა, ერთობლივი სამომავლო გეგმების დასახვა და ურთიერთანამშრომლობის გაძლიერება.

20.05. 2019 წელი, თბილისი - სსიპ „საინფორმაციო ცენტრმა ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, ევროპის დღეები 2019-ის ფარგლებში, გამართა ღონისძიება „ევროპა - საქართველოს ისტორიული არჩევანი“, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქალაქის მერები და

საკრებულოს თავმჯდომარეები. ღონისძიების მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები საქართველოსა და ევროპის ისტორიულ ურთიერთობებზე, საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობისა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის შესახებ, ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების პროცესზე, მიმდინარე გამოწვევებსა და პერსპექტივებზე, რეგიონული განვითარების პოლიტიკის შესაბამისობაზე ევროკავშირის ასოცირების პრიორიტეტებთან, ევროკავშირის დახმარების პროგრამებსა და ევროკავშირის ახალ ინიციატივაზე „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“.



02.06.2019 წელი, თბილისი - ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის განმახორციელებელმა გუნდმა გაიმართა 2019 წლის ანგარიშის პრეზენტაცია. ღონისძიებაზე ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) წარმომადგენლებმა ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით მომზადებული მუნიციპალიტეტების 2019 წლის შეფასების შედეგები წარმოადგინეს და გამჭვირვალობის რეიტინგის პირველ ხუთეულში შემავალი მუნიციპალიტეტები დააჯილდოეს.

2019 წლის საუკეთესო შედეგის მქონე მუნიციპალიტეტად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი დასახელდა.



28.09.2019 წელი, თბილისი - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება „ერთიანი ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება საქართველოს მუნიციპალიტეტებში“.

მთელი საქართველოს მასშტაბით მოქალაქეებისათვის სერვისების ერთნაირი ხელმისაწვდომობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურობის და გამჭირვალობის გაზრდის მიზნით, 63 მუნიციპალიტეტში მოხდება ერთიანი სტანდარტით ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება. ერთიანი სტანდარტი გულისხმობს: განცხადებების კატეგორიების სტანდარტიზებას; საქმისწარმოების პროცესის სტანდარტიზებას; ორგანიზაციული სტრუქტურის სტანდარტიზებას; გეოსივრცითი მონაცემების მართვას.

პროექტს ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო (MSDA).

შეიქმნება ერთიანი ელექტრონული პლატფორმა, რომელიც სამ ძირითად სისტემას გააერთიანებს: mm.gov.ge - ერთიანი ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა; ms.gov.ge - ონლაინ განცხადებების მართვის სისტემა; maps.gov.ge - გეოსივრცითი მონაცემების მართვის სისტემა.

ერთიანი ელექტრონული სერვისები დაფარავს შემდეგ მიმართულებებს: ადმინისტრაციული; სივრცითი მოწყობა, არქიტექტურა და ზედამხედველობა; ეკოლოგია და გამწვანება; მთის სტატუსი; კეთილმოწყობა და დასუფთავება; ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი; ეკონომიკური განვითარება და ქონების მართვა; კულტურა, განათლება და სპორტი; ჯანდაცვა და სოციალური; იურიდიული; საფინანსო საბიუჯეტო.

08-10.10.2019 წელი, საირმე - არასამთავრობო ორგანიზაციის „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ ორგანიზებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე - „ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის შეფასება“.

სამუშაო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის უკეთ გასაზომად და შესაფასებლად მინიმალური სტანდარტების მონაწილეობითი მიდგომით შემუშავება, მოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება, ძირითად საკითხებსა და სფეროებზე შეჯერება და საპილოტე ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილ შემდგომ ღონისძიებებსა და ნაბიჯებზე შეთანხმება.

შეხვედრას ესწრებოდნენ მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ საპილოტე ინიციატივის ფარგლებში შერჩეული სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან: ოზურგეთი, ჩოხატაური, ბათუმი, ხელვაჩაური და გორი.

შეხვედრა გერმანული საერთაშორისო ფონდის, Bread for the World-ის ფინანსური მხარდაჭერითა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ორგანიზებით გაიმართა პროექტის - „ადგილობრივი განვითარების აქტორების მდგრადი კავშირის შექმნა საქართველოში“ - ფარგლებში.

აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობას, განვითარების ყველა აქტორისთვის საჭირო ცოდნისა და შესაძლებლობების გაჩენას, რათა ერთობლივად განსაზღვრონ ადგილობრივი საჭიროებები და განვითარების პრიორიტეტები, უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელება.



საკრებულოს თავმჯდომარის საჯარო შეხვედრები, ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე მონაწილეობდა სხვადასხვა ადგილობრივ საჯარო შეხვედრებსა და ღონისძიებებში, მათ შორის:

11.01.2019 წელი - ბათუმის ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სამოქმედო გეგმის შემაჯამებელი განხილვა. აღნიშნული პროექტი სპეციალურად ევროკავშირის პროექტის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში შეიქმნა და მას ბათუმი გასულ წელს შეუერთდა. „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივას, რომელიც 2016 წელს დაიწყო და ხორციელდება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. მისი მიზანია მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ადგილობრივ დონეზე.

16.01.2019 წელი - საკონსულტაციო შეხვედრა საქართველოში დეცენტრალიზაციის პროცესსა და ადგილობრივი თვითმმართველობების უფლებებისა და ფინანსური რესურსების გაძლიერების თაობაზე.

29.01.2019 წელი - პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ინიციატივით გამართულ შეხვედრა სოციალური მუშაობის შესახებ საქართველოს კანონსა და ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე. ეხებოდა.

08.02.2019 წელი - ანგარიშის პრეზენტაციას აჭარის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ფორმირებისა და დაფინანსების შესახებ. პროექტის ერთ-ერთი მიმართულებაა აჭარის რეგიონული განვითარების მექანიზმებისა და სტრატეგიის დოკუმენტის გაუმჯობესება, მიზანი კი - აჭარის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ფორმირების, სტრატეგიების შემუშავებისა და დაფინანსების პროცესში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე ბიზნესისა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობისა და დიალოგის გაძლიერების ხელშეწყობა.

06.03.2019 წელი - პროექტის პრეზენტაცია „დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა რეგიონებში“.

პროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ ანტი-დასავლური პროპაგანდისგან მომდინარე საფრთხეების წინააღმდეგ საქართველოს მოსახლეობის სწორად ინფორმირებულობისა და ქვეყნის ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესების შესახებ ეფექტიანი კომუნიკაციის მიზნით მიიღო, 18 თვეს მოიცავს.

პროექტის ფარგლებში შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და მუნიციპალიტეტებში გაიმართა, რომელიც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ-ს „ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის“ მიერ გაცემული გრანტის ფარგლებში გახორციელდა.

20.03.2019 - საჯარო განხილვა საკრებულოში კომპანია „ალიანს სიტის“ სამშენებლო პროექტის თაობაზე, რომელიც ბათუმში, რუსთაველის ქუჩის გაგრძელებაზე, ე.წ. ლუკოვის სახლის ნაცვლად, სამი ცათამბჯენის აშენებას ითვალისწინებს.

25.03.2019 - გაეროს ახალგაზრდული ასამბლეის დელეგატების მიღება საკრებულოში.

მუნიციპალიტეტის პირველმა პირებმა სტუმრებს ადგილობრივი თვითმმართველობის ისტორია გააცნეს და მის მნიშვნელობაზე ესაუბრნენ. პროექტი არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“ ხელმძღვანელობით ხორციელდება. ორგანიზაცია ათ წელზე მეტია მსგავსი შინაარსის საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებს ახორციელებს, როგორც საქართველოში, ასევე ევროპასა და აშშ-ში.

11.04.2019 - პრეზენტაცია აჭარაში თანამედროვე სტანდარტების ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობის შესახებ. შეხვედრაზე „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია“ და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „Goksin Insaat-ს“ შორის ხელშეკრულებას ოფიციალურად მოეწერა ხელი.

ხელშეკრულების ფარგლებში, ქობულეთში, სოფელ ცეცხლაურში საერთაშორისო სტანდარტების ნაგავსაყრელის მოსაწყობად, კომპანიას 18 თვის ვადა განესაზღვრა.

პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება 7 მილიონ ევროს შეადგენს, საიდანაც 3 მილიონი ევრო ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (EBRD) მიერ იაფი სესხის ფარგლებში გამოიყოფა, ხოლო 4 მილიონი ევრო გრანტის სახით შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მიერ.

ნარჩენების მართვის პროექტი ახალი სანიტარული ნაგავსაყრელის პოლიგონისა და მისასვლელი გზის მშენებლობას, ასევე ბათუმისა და ქობულეთის არასტანდარტული მოქმედი ნაგავსაყრელების ეტაპობრივ დახურვას ითვალისწინებს.

მყარი ნარჩენების მართვის მიმართულებით ცეცხლაურის ახალი სანიტარული პოლიგონი, პირველი თანამედროვე სტანდარტების მქონე ნაგავსაყრელი იქნება საქართველოში, რომლის მშენებლობის პროცესში საერთაშორისო საფინანსო და საკონსულტაციო ორგანიზაციებია ჩართული. პროექტი რეგიონში ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესებას, მოსახლეობისთვის ჯანსაღი პირობების შექმნასა და ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

21.05.2019 წელი - შეხვედრა რეგიონული განვითარების საკითხებზე, რომელიც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ ორგანიზებით ჩატარდა. შეხვედრის მიზანი რეგიონის განვითარების გამოწვევებსა და პერსპექტივებზე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის, კერძოდ ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესისა და აკადემიური წრეების თანამონაწილეობისა და ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმების შემუშავება იყო.

20.06.2019 წელი - ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარის სულიკო თებიძის საკრებულოში საქმიანობის ანგარიშის წარადგენა EECMD ბათუმის დემოკრატიის სკოლაში. თავმჯდომარემ დემოკრატიის სკოლის მსმენელებსა და კურსდამთავრებულებს საკრებულოში მიმდინარე პროცესებზე, სტრუქტურაზე, გაწეულ საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა, ასევე ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, რომლებიც ბათუმის საკრებულომ მოქალაქეთა ჩართულობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით დანერგა.

17.07.2019 - ბათუმსა და პოლონეთის ქალაქ ვროცლავს შორის ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმების გაფორმება. შეთანხმების შესახებ ხელშეკრულებას ხელი ბათუმის მერმა ლაშა კომახიძემ და ვროცლავის მერმა იაცეკ სუტრუკიმ მოაწერეს. ხელშეკრულება ორ ქალაქს შორის მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებას, ერთობლივი პროექტების განხორციელებას და სხვადასხვა სფეროში ურთიერთთანამშრომლობას ითვალისწინებს.

01.08.2019 წელი - ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში „ქალაქ ბათუმის გარკვეული ტერიტორიისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ („რივიერას“) პროექტის საჯარო განხილვა.

კომპანია აღნიშნულ ტერიტორიაზე 1 მილიარდი ლარის ინვესტიციის განხორციელებას გეგმავს, რაც მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს, სასტუმროებს, საზღვაო სანაოსნოსთან ინტეგრირებულ მრავალფუნქციურ კომპლექსს, იახტკლუბს, ხელოვნურ ლაგუნას, რესტორნებს, კონვენციის ცენტრს, კაზინოს, საცხოვრებელ და საზოგადოებრივ სივრცეებს. ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს დაიკავეს ხელოვნური ყურე, სადაც გათვალისწინებული იქნება ნავმისადგომი იახტებისთვის.

კომპლექსის მშენებლობაზე და ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ დასაქმდება 1000-ზე მეტი ადგილობრივი; აჭარის ბიუჯეტში ქონების გადასახადის შენატანი ყოველწლიურად დაახლოებით \$7 მლნ იქნება; ხოლო დასაქმებული ადამიანების ხელფასებზე, კომპანია საშემოსავლოს სახით 3 მლნ ლარს გადაიხდის (ასევე აჭარის ბიუჯეტში); კომპანია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქალაქის გამწვანების განვითარებაშიც - კეთილმოეწყობა 2 ჰექტარი მუნიციპალური პარკი, გამწვანდება პოდიუმები და აშენდება შენობები მწვანე ფასადით.

02.08.2019 - პრეზენტაცია 2018-2019 წლებში ბათუმის მუნიციპალიტეტის მიღწეული შედეგების შესახებ. 2018-2019 წლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტში საქმიანობის ეფექტურობის გაზრდისა და შედეგზე ორიენტირებული მართვის სისტემის დანერგვის მიზნით მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა და არა ერთი პროექტი შემუშავდა, რომელთა განხორციელებაც წარმატებით მიმდინარეობს. სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული ეფექტური საქმიანობის შედეგია ის, რომ 2019 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შეფასებაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი პირველ ადგილზე გავიდა. შეფასება სამი კომპონენტის მიხედვით გაკეთდა: პროაქტიულად გამოქვეყნება; ელექტრონული სერვისები, ელექტრონული მმართველობა; მოქალაქეთა მონაწილეობა/ ანგარიშვალდებულება.

03.09.2019 წელი - „ბათუმის მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის“ განხილვა. „მწვანე ქალაქის გეგმის“ შემუშავება ბათუმის მუნიციპალიტეტმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) ერთობლივად დაიწყეს, რითაც ბათუმი EBRD-ის მწვანე ქალაქების ჩარჩო პროგრამაში ჩაერთო.

EBRD-ის მწვანე ქალაქების ჩარჩო პროგრამა წარმოადგენს მწვანე ურბანული განვითარების სრულფასოვან ბიზნესმოდელს, რომელშიც, სტრატეგიულ დაგეგმვასთან ერთად, გათვალისწინებულია ინვესტირება და ტექნიკური დახმარება. გეგმა, ასევე, განიხილავს გარემოს პირობებზე მოქმედ სექტორებს. მათ შორის, ტრანსპორტს, ენერგეტიკას, ინდუსტრიას, მიწათსარგებლობას, ნარჩენების, წყლის მართვასა და ა.შ.

პროექტის დეტალურად განხილვის შემდეგ შემუშავდება საბოლოო ვერსია, რომელიც დასამტკიცებლად საკრებულოს წარედგინება.

10. 09.2019 წელი - ელექტროავტობუსების შეძენასთან დაკავშირებით ხელშეკრულების გაფორმება შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტსა“ და კომპანია „ბელკომუნამაშს“ შორის. საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ბელკომუნამაში“, სატენდერო პირობების თანახმად, 8 ერთეული ელექტროავტობუსის მიწოდებას უზრუნველყოფს. სატენდერო თანხა 3 მილიონ 777 ათას ევროს შეადგენს. პროექტისთვის აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის პარტნიორობის ფონდმა, რომლის უმსხვილესი დონორები არიან ევროკავშირი და შვედეთი, 1 მილიონ 500 ათასი ევრო გრანტის სახით გამოყო, დარჩენილი თანხა კი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეღავათიანი სესხია. ელექტროავტობუსების დაფინანსების კუთხით, პროექტი პირველია ფონდისთვის არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიის რეგიონში. გასულ წელს ბათუმის ავტოპარკი 40 ავტობუსით განახლდა. ავტობუსების შეძენა ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის (EBRD) დაბალპროცენტიანი სესხით განხორციელდა.

16.10.2019 წელი - ბათუმის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი დემოკრატიის ევროპული კვირეულის გახსნა. ევროპული კვირეულის თემაა „ადგილობრივი დემოკრატია: ნდობის აღდგენა“, ადგილობრივი დემოკრატიის შენება მოქალაქეებთან ერთად და ღია მმართველობის დანერგვა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა დაანონსეს ის სამომავლო ცვლილებები, რომელიც თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაუმჯობესებასა და მოქალაქეთა გააქტიურების ხელშეწყობას ითვალისწინებს.

ადგილობრივი დემოკრატიის ევროპული კვირეული (ELDW) პან-ევროპული ინიციატივაა, რომლის მიზანია ადგილობრივი დემოკრატიისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაძლიერება. მისი კოორდინატორია ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი - პოლიტიკური კრება, რომელიც შედგება ევროპის საბჭოს 47 წევრი ქვეყნის ადგილობრივი და რეგიონული არჩეული წარმომადგენლებისაგან.

18.10.2-19 წელი - ბათუმში, ჯავახიშვილის ქუჩაზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები. მიმდინარე სამუშაოები საკრებულოს თავმჯდომარემ, აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან და ქალაქის მერთან ერთად დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სანიაღვრე არხისა და ქუჩის რეაბილიტაცია.

22.10.2019 წელი - საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის გასვლითი სხდომა შუახევში. სხდომას კანონმდებლებთან ერთად ცენტრალური და ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოების თავმჯდომარეები და სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სხდომაზე ისაუბრეს აჭარის მუნიციპალიტეტებში არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე. სხდომის მონაწილეებმა ასევე მოისმინეს მიმოხილვითი ინფორმაცია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ. საკრებულოების თავმჯდომარეებმა თავიანთ გამოსვლებში ყურადღება გაამახვილეს განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის საჭიროებებსა და გამოწვევებზე, კანონმდებლობის იმპლემენტაციის საკითხებზე.

29.10.2019 წელი - აჭარის მთავრობის სხდომა, რომელსაც აჭარის მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად, მუნიციპალიტეტის მერები, საკრებულოების თავმჯდომარეები და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარემ 2020 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტსა და მომავალი წლის ბიუჯეტის პრიორიტეტებზე ისაუბრა. როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ აღინიშნა, 2020 წლის აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები 11% არის გაზრდილი.

სხდომაზე ასევე განიხილეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების საკითხი.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი: ბათუმის მუნიციპალიტეტი - I ადგილი

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი სწავლობს და აფასებს საქართველოს მუნიციპალური ხელისუფლების გამჭვირვალობის, მოქალაქეთა მიმართ ანგარიშვალდებულებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხს.

2019 წლის 2 ივლისს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის (MSDC) წარმომადგენლებმა ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მიხედვით მომზადებული მუნიციპალიტეტების 2019 წლის შეფასების შედეგები წარმოადგინეს და გამჭვირვალობის რეიტინგის პირველ ხუთეულში შემავალი მუნიციპალიტეტები დააჯილდოეს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შეფასების მიხედვით, 2019 წლის საუკეთესო შედეგის მქონე მუნიციპალიტეტად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი დასახელდა.

სერტიფიკატი




ადგილობრივი
თვითმმართველობის
ინდექსი


ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი

ჯილდოვდება


ღია და ანგარიშვალდებული თვითმმართველობისთვის
ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი 2019




ირინა ხანაძე
კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი
აღმსარებელი დირექტორი



გიორგი კლდიაშვილი
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ცენტრი
აღმსარებელი დირექტორი



კოკა კიკლაძე
მმართველობითი სისტემების
განვითარების ცენტრი
აღმსარებელი დირექტორი



ქეთი ხუციშვილი
ღია საზოგადოების ფონდი
აღმსარებელი დირექტორი



CTC
Center for Transparency
and Civic Engagement



IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
ინსტიტუტი



MSDC
მმართველობითი
სისტემების
განვითარების
ცენტრი



OSF
Open Society
Foundations

